



გაწევრიანების სარგებელი

- წვდომა საქართველოს ნუტრიციოლოგთა ასოციაციისა და დიდი ბრიტანეთის ნუტრიციოლოგთა საზოგადოების გარკვეულ ონლაინ -რესურსებზე.
- ხელმისაწვდომობა საზოგადოების წევრთა მიერ განხორციელებულ ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებზე.
- საზოგადოების წევრების სამეცნიერო თუ პრაქტიკული საქმიანობის გაცნობის შესაძლებლობა მოსახლეობის ფართო აუდიტორიისთვის.
- ყოველთვიური ინფორმაცია ამ დარგში დაგეგმილ სამეცნიერო ღონისძიებებზე, მ.შ. როგორც ადგილობრივი ასევე ევროპული მასშტაბის სამეცნიერო გრანტებსა და კონფერენციებზე
- შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოთ საზოგადოების მიერ დაგეგმილ კონფერენციებსა და სხვა სახის ღონისძიებებში (მ.შ. ტრეინინგებში) შეღავათიანი პირობებით.
- ჩვენს ვებგვერდზე მონაცემების განთავსება წევრობის და საქმიანობის შესახებ, რაც ნუტრიციოლოგიაში მომუშავე სპეციალისტს მისცემს დამატებით შესაძლებლობას, რათა ფართო საზოგადოება გაეცნოს მის აქტივობებს და საზოგადოების მიერ გაწეული რეკომენდაციების შემთხვევაში, გაიზარდოს მის მიმართ ნდობა.
- შეძლოთ გამოიყენოთ ჩვენი საზოგადოების სამუშაო სივრცე, სადაც დაგხვდებათ კარგი ბიბლიოთეკა და სამუშაო გარემო.
- პროფესიულ ბიოგრაფიაში ასახოთ საქართველოს ნუტრიციოლოგთა საზოგადოების წევრობის თაობაზე ინფორმაცია

საზოგადოების წევრად გახდომისთვის უნდა გაიაროთ 3 ეტაპი:

1. შეავსოთ განაცხადის ფორმა
2. გადაიხადოთ საწევრო
3. მოგვაწოდოთ თქვენი პროფესიული ბიოგრაფია (CV)

გაწევრიანება:

სრული წევრი (ფიზიკური პირი, მ.შ. დამფუძნებლები) -
კვალიფიციური სპეციალისტი რომელიც მოღვაწეობს ნუტრიციოლოგიის და



ნუტრიციოლოგიური მეცნიერებების, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სპორტული მედიცინის დარგში, ასევე სხვა მომიჯნავე დისციპლინებში და აქვს შესაბამისი სამუშაო გამოცდილება - **40 ლარი**

პენსიაზე მყოფ პირებზე მათი განაცხადის საფუძველზე გავრცელდება შეღავათიანი გადასახადი - **10 ლარი**

ასოცირებული წევრი

უმაღლესი განათლების მქონე პროფესიონალი ნუტრიციოლოგიის დარგში ცოდნის გაღრმავების ინტერესით და ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენების სურვილით - **25 ლარი**

სტუდენტი წევრი

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები ნუტრიციოლოგიის, ნუტრიციოლოგიური და სურსათის მეცნიერებების, სხვა მომიჯნავე დისციპლინების ინტერესით - **10 ლარი**

საპატიო წევრი

საზოგადოება გადაწყვეტს ვის მიანიჭოს საპატიო წევრობა

წევრი ორგანიზაციები

ნუტრიციოლოგიის, ნუტრიციოლოგიური და საკვების მეცნიერებების ინტერესის მქონე - **500 ლარი**

საზოგადოების წევრის უფლებები:

- მონაწილეობა საზოგადოების მიერ ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში რეეკლამის განთავსების უფლებით (მხოლოდ წევრი ორგანიზაციებისთვის)
- მონაწილეობა საზოგადოების მიერ ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში;
- საზოგადოების მიერ გამოცემულ სხვადასხვა საინფორმაციო მასალასა და საორგანიზაციო-მეთოდური საბუთზე ხელმისაწვდომობა;
- მონაწილეობა საზოგადოების საქმიანობის დაგეგმვასა და განხილვაში ყველა დონეზე;
- სარგებლობის უფლება საზოგადოების ქონებით დადგენილი წესით;
- მონაწილეობა საზოგადოების მმართველ და კონტროლის ორგანოებში;
- მონაწილეობა საზოგადოების მუშაობაში;
- საზოგადოების მუშაობის საკითხების განხილვა, წინადადებების შეტანა, ინფორმაციის მიღება საზოგადოების შესრულებული სამუშაოების შესახებ;
- თავისი შეხედულებისამებრ საზოგადოებიდან თავისუფლად გასვლა.